

სამედიკო დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე. შანი განცხადებისა დიდი ასოებით ასოზე—2 კაპ., ასო-ქვემოთა სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი—5 კაპ., პატრა—4 კაპ.

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მედიკი შვილის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მედიკი შვილის სტამბაში, ბანთვის ქუჩაზე.
ხელის-მოსწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროга“.
გაზეთის შანი: მთელის წლით—8 მან., ნახევარ წლით—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ფრთხილი

ცალკე ნომერი ღირს შაშხრათ

რედაქციის უფლება აქვს გაასწავლოს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

(ოფიციალური)

პარსი, 19 ნოემბერს. ლენერალი მკლობელი იწერება მსურვეთიდან, რომ დამით 15 ნოემბერს ღერვიშ-ფაშამ უცრად დაიხია უკან ხუც-შანიდან და იქ მხოლოდ მცირედენი ჯარა დასტოვო.

ბათენებისას პოლკოვნიკი შაზბეგი სამი ბატალიონი ქვეითა ჯარით, 200 ცხენოსანი ყაზახით და რვა ზარბაზნით მიადგა ხუც-შანს და დაატოვებინა იქ დარჩენილ ჯარს ეს პოზიცია. მსმალეები მდინარე პანტრიშს გაღმა გაქცნენ და ჩვენებმა სამებამდინ და სიხის-ძირამდინ სდიეს იმათა.

ჩვენ დავგერჩა ქოხების ბანაკი ათი ათასი კაცის სამყოფი, საომარი მასალები და სასმელ-საჭმელი.

ამ შეტაკებაში მსმალოს ხუთმა ჯაგენიან ხომალდმა მიიღო ზღვიდან მონაწილეობა.

ჩვენის მხრით 2 სალდათია მოკლული; დაჭრილი არიან: 1 აფიცერი და 7 სალდათი.

ბოგობი, 18 ნოემბერს. (ოფიციალური). მქესი დღის განმავლობაში სროლის შემდეგ, რუმინებმა აიღეს ლომ-პალანკა; მსმალობმა მიღწისაკენ დაიწიეს მერკასა და ტრესტენიკთან ბრძოლის შემდეგ, 14 ნოემბერს, ჩვენებმა აკრიბეს ბრძოლის ველზე 2,500-მან დაჭრილი და დახოცილი მსმალო.

ბოგობი, 19 ნოემბერს (ოფიციალური). პროვეცის ცდების შემდეგ, მსმალობმა მიატოვეს ნოვოჩინი, სკრივენი და ორხანიე და ქელზე გადავიდნენ ვრაჩეშში.

მტროპოლიდამ ოსმალეები შანდორინის გადასავალზე გადავიდნენ და პრამ-შონალში დადგნენ. მდინარე მკერსა და მგოსტეს შუა ოსმალეები აღარ ჩანან. ჩვენებმა დაიჭირეს ლევჩოვო და ბელიბროდი, და ახლა ბელგრადიკისაკენ მიდიან.

16-ს, 17-სა და 18-ს ნოემბერს მემკვიდრის არმიას მხოლოდ წვრილი შეტაკება ჰქონდა მტერთან. მსმალოს ჯარი სოლენიკიდან რუსუკისაკენ იწევს. რუს-ჩუკილამ გამოვირდინო ყუმბარებმა გააფუტეს ჩვენი რკინის გზა; მაგიერად ჩვენმა შურეფოს ზარბაზნებმა დიდი ზარალი მისცა მსმალოს ნავეებსა და განდევნა მუშები, რომელნიც რუსუკის ციხეზე მუშაობდნენ.

ამ ერთის თვის წინათ სილისტრიის ციხიდან გაღმავიდა ლუნიხე მცირე ატს რიადი მსმალებისა, დაიჭირეს ლუნიხე-ნაპირას ერთი ალაგი და ძალიან გაამაგრეს. ჩვენ ეს იმათ ვერ მოუშალოთ რადგან ერთის მხრით ციხიდან (სილრ-სტრიიდან) გვიშენდნენ და მეორეს მხრით

ფელტონი

მასლათი

როცა გუშინ დილით მე გადავწყვიტე ჩემს გუნებაში, რომ ხვალინდელი ნომრისათვის ერთი ფელტონი უნდა დავწერო-მეთქი, პირველი ჰაზრი ჩემი ის იყო, რომ ამ ოპიანობაზე ერთი სიტყვაც არ მეთქვა. მე ვფიქრობდი:

— მთელი ქვეყანა ამ ქამად მხოლოდ ომზედ, მარტო ბრძოლის ველზედ, მხოლოდ ჩვენს გამარჯვებაზე და მტრის დამარცხებაზე ლაპარაკობს, ყველას მხოლოდ ტყვია-წამალი, ყუმბარები ახსოვს, ყველას მარტო სურსათი, ჭურჭელი, ქერი, თივა აქვს თავში-მეთქი. ნუ თუ მობეზრებული არ უნდა ჰქონდეს საზოგადოებას ეს საგანი? მოდი, ერთი სხვა რამ მოვლენას შევცხო, სხვა რომელსამე საგანზე მოველაპარაკო ჩემს საყვარელს მკითხველს-მეთქი!

აქ ვფიქრობდი. და კიდევ შეუდგარი ამ სხვა საგნების ძებნას. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! რაზედაც არ დავიწყებ თქვი, რომელ საგანსაც არ შევეცვო, რომელი მოვლენაც არ გავიფიქრო თვეში, ყველგან ყოველთვის ეს ოხერი ომი, სე დაწყებული ბრძოლა, ეს კურთხეული ყუარა ჩაეჩხირა; ყველგან გასაკვირ-

ველი პლენა, ასაწაპნაგი არზრუპი და ასალები ბათუმი გადამეხირობოდა გზაზე და ყველა იმ ჩინებულ საგნებს და მოვლენებს, რომელზედაც მე მსურდა მკითხველთან ტკბილად მოლაპარაკება, მიფრთხობდა.

ათი გზა მაქვს—ათივე შენკენ მოდის; შიქრები მაქვს—წინ შენი სახე მოდის!

აი სწორეთ ამისთანა „ლოპიანსებური“ საქმე დამემართა!

და მეტი გზა და ილაჯი რო აღარ იყო, გადავწყვიტე: რა გავწყობა, მაშ, ისევ ომზე ვილაპარაკებ-მეთქი! მადავწყვიტე და ვილაპარაკო.

ვილაპარაკოთ; მაგრამ არ ვიცი კი—საიღამ დავიწყო, რით გავაგრძელო და როგორ დავაბოლოო!... მკ, ღმერთი მოწყალეა, დავიწყოთ იქიდან, საცა ჩვენ ავართ ახლა გაჩერებული და გავგრძელებასა და დაბოლოებაზე კიდევ ღმერთი შეგვეწყვე!

ჩვენ ამ ქამად გახლავართ გაჩერებული ერთის მხრით არზრუპთან, მეორეს მხრით ბათუთან და მესამეს მხრით პლენთან.

ჩვენ—რუსები, ქართველები და სომხები ვინ გავყო, ვინ გავაკაცო; თითოეულს ჩვენგანს, რასაკვირველია, რომ

ერთი ბედი გვაქვს, ერთი ნატრა და სურფლი უნდა გვქონდეს!..

მა თეორიაშია; და პრაქტიკაშიაც ასე უნდა იყოს. მაგრამ ხანდისხან არ არის: მაგალითად ახლა:

ჩვენ, ქართველებს, მგონია, ძალიან კი გვიანდა, რომ ბათუმი ავიღოთ და მთელი მსმალოს საქართველო ჩვენ შემოგვიერთონ!

სომხები სულითა და გულით ნატრობენ, რომ მთელი არზრუპის ვილაიეტი, რომელშიაც, როგორც მეცნიერები ამბობენ, მხოლოდ ერთი მესხეთედი სომხები სახლობენ, მაგრამ რომელსაც მაინც „მ. მალეთის სომხეთს“ ეძახიან—რომ ეს სომხეთი ძლევამოსილმა რუსეთმა შეაერთოს თავის თვალ-გაღუწვდენელ სამპურობელოს და ურიცხვს ხალხს რუსებს კი ერთიც უნდათ და მეორეც, მსმალოს საქართველოცა და მსმალოს სომხეთიცა! სამი უმთავრესი გაზეთი რუსებისა „Голосъ“, „Новое Время“ და „Московскія Вѣдомости“ ამ შემთხვევაში თანხმანი არიან:

კრავესკი ამბობს: „მა მესამეთ არის, რომ ჩვენ ამ საუკუნის განმავლობაში პარსი ავიღეთ. იმის უკან დაბრუნება ახლა შეუძლებელია. არზრუპსაც ავიღებთ და ისიც ჩვენ

დუნაილამ ხომალდებიდამ; მხოლოდ
... გვეჭირა, რომ ამ ნაპირი-
დამ ზევით არა მოსულიყვნენ. ამ თვის
17-ს, დილით ადრე მტერმა შეჭენა სა-
შინელი სროლა სილისტრიიდან და ხო-
მალდებიდამ და ამ დროსვე გამოგზავ-
ნეს ნავებით კიდეც 500 კაცი დუნაის
გამოღმა (მარცხნივ). ნაშუადღევს ორ
საათზე მტერი მოაწვა ჩვენებს; მაგრამ
ჩვენმა ჯარმა (ორმა რატამ ქვევითამ
და გუსარებმა) დიდს ზარალით განდევ-
ნა მსმალოს ქვევითა ჯარი და ჩერქე-
ზები, რომელნიც ისევ დუნაის ნაპირზე
დაბრუნდნენ. ჩვენის მხრით 2 კაცი მო-
კლულია და 12 დაჭრილი.

გოგობი, 20 ნოემბერს. (მფიციალური).
მსმალობმა უბრძოლოდ მიატოვეს ძა-
ლიან გამაგრებული პოზიციები შრაჩეშ-
თან და ლუტაკოვასთან და სოჭის შო-
სეთი დაიწიეს უკან. 17-ს ნოემბერს
დენ. მლისის კალონამ დაჭირა ეს პო-
ზიციები და 18-ს სდია მტერს ქედის მე-
ორე მხრით არაბ-შონალამდინ.

რუსის აგებები

აზიის ბრძოლის ველიდან

ჩიონის ატრიალიდამ მოსული დეპეშა
გვაცნობებს, რომ დერვიშ-ფაშას დაუწყე-
ვია უკან ხუტ-შბნიდამ და ეს პოზიცია
ერთხელ კიდეც აუღიათ ჩვენს ჯარებს.
შექველია, რომ დერვიშ-ფაშა თავის
ჯარებს ციხის-ძირზე და ძვირიკვზე გა-
აჩერებდა და ეცდებოდა, რომ აქ შეაჩეროს

ჩვენის მხრიდან ბათუმისაკენ მიმავალი
ჯარი. თუმცა ამბობენ, რომ ბათუმის
ატრიალიდამ რამდენიმე ჯარი არზრუმის-
საკენ წაიყვანეს ოსმალთებმაო, მაგრამ
ციხის-ძირი ისეთი სიმაგრეა, რომ მსმა-
ლოს ცოტა ჯართაც დიდხანს გამაგრე-
ბა და მხნედ დახვედრა შეუძლიან იქ.
ასე რომ ბათუმის აღებას აქედამ, მზურ-
გეთიდან, ჩვენ არ უნდა მოველოდეთ;
ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შევიძ-
ლებთ ამას, როცა არზრუმი აღებულა
იქნება და ჩვენი ჯარები აქედამ და იქი-
დამ ერთსა და იმავე დროს მიადგებიან
ბათუმს.

არზრუმის მდგომარეობაზე აი რას
იწერება 5 ნოემბერს მენის ვაზეთის
„Fremdenblatt“-ის იქაური კორრესპონ-
დენტი:

„არზრუმის სიმაგრეების უფროსად
მუნთარ-ფაშამ ჩეიზი-ფაშა დანიშნა. ახ-
ლად მოგროვილი ჯარის გამოწყობა და
საომრად მომზადება შამილის შეილს
ჰაზი-მაჰომას აქვს მინდობილი.

„დღემდინ არზრუმს მხოლოდ აღმო-
სავლეთის მხრით აქვს რუსებისაგან გზე-
ბი შეკრული. ჩრდილოეთით და სამხრე-
თიდაც გამოჩნდებიან ხოლმე ხანდისხან
რუსის ცხენოსანი ატრიალები, მაგრამ
აქეთკენ იმათ ჯერ კიდევ ვერ შეუკრავთ
გზები; დასავლეთის მხრით (ტრაპიზონისა
და მარზინგაიანისაკენ) კი გზები სრული-
ად თავისუფალია.

„აქ, არზრუმში ამბობენ, თუმცა ნამ-
დვილად ვერ გეტყვიტ—რამდენაა მარ-
თალია ეს ამბავი, ვინაშეც ბრზრუმს
მომდღარი რუსის ჯარი დიდ გაჭირებაში
არისო, საკმაო სურსათი არა აქვთო, ტა-
ნისამოსი შემოგლეჯიათ, სალდათები ქა-
ლამნებით დაიარებიანო, სიცივემ ერ-
თობ შეაწუხა ისინი და შიმშილმაო;
ასე რომ იმასაც ამბობენ, ზეიმანის ატ-
რიალი დევნილიდამ ისევ უკან, შარ-
სისაკენ დაბრუნებას აპირებსო.“

ვაზეთის „Presse“-ის თფილისელი
კორრესპონდენტი დაწერილებით აგვი-
წერს შარსის აღებას, რომელიც ჩვენ
ოფიციალურმა დეპეშამ გვაცნობა, და
შებდეგ ამბობს:

„ბუშინ 6 ნოემბერს, დილის 11 საათ-
ზე მთელი რუსის არმია „ურას“ ყვირი-
ლით, მუზიკითა და სახალხო სიმღერის
მღერით შევიდა შარსში; შარსის კარებ-
ში დიდ მთავარს მიხაილ ნიკოლოზისძეს
დახვდა დენ.-ადიუტ. ლორის-მელიქოვი,
რომელმანც მიართვა იმას ციხის გასა-
ღები.

„დენერალი ლაზარევი შარსის კამენ-
დანტად იქნება დანიშნული. ბუშინ სა-
ლამოს 15,000 კაცი გაგზავნეს რუსებმა
შარსიდან არზრუმისაკენ; ამ ჯარის უფ-
როსობა და საზოგადო არზრუმის აღე-
ბა აგრეთვე დენ.-ადიუტ. ლორის-მელი-
ქოვისა აქვს მინდობილი.

„ბუშინ სალამოს შარსში შეიკრიბა
სამხედრო რჩევა, რომელმანც, დენ.
ფილიპოვის წინადადებით, მიიღო ის
პლანი, რომ არზრუმს გარს შემოარტ-

ნია. ბათუმი კარგი ნავსადგურია; რადგან
ამიერიდგან შავს ზღვაში ხომალდები
გვეყოლება, ბათუმიც აუცილებელად სა-
ჭიროა ჩვენთვის.“

სულო რომი კვირაში შეიდეჯერ ჰყვირის:
„არზრუმი გვინდა! ბათუმი გვინდა!
შავს ზღვაზე ხომალდები გვინდა!“
ტატკოვი ბრძანებს:

„სომხები უნდა დავიხსნათ ბარბარო-
სებისაგან! მსმალოს ქართველები უნდა
დავიხსნათ ბარბაროსებისაგან! შავი ზღვა
გვეჭირება! მაშასადამე არზრუმი ჩვენია!
ბათუმი ჩვენია; შავი ზღვა ჩვენია!“

აქ და ამ გვარად, ჩვენ კი ვამბობთ,
ყვირით: ესა და ეს გვინდა, ესა და ეს
ხალხი უნდა დავიხსნათ, ესა და ეს ქვე-
ყანა უნდა დავიპყროთ.

მაგრამ ერთი ცოტა იმ აშკარათ მო-
მქმედ ინგლისსაც ჰკითხეთ! მართი იმ გა-
იძვერა პეტროპოლისა დაუგდეთ ყური! მრ-
თი იმ შენგრიასაც გადახედეთ! ანა რას
იტყვიან? „Home, Home, Home“

ბუნებურ მოგახსენოთ—რას იტყვიან?—
შერ მოგართვითო! ასე იტყვიან. — მქვენ
თვითონ ომის დაწყებამდინ, ომის და-
წყების შემდეგ და ათასჯერ სხვა დრო-
საც გიბრძანებდითო, რომ მხოლოდ ქრი-
სტიანების დაცვა გუნებეთ მაჰმადიანები-
საგანო, მხოლოდ სლავიანების მდგომარ-
ეობის გაუმჯობესებაო, — და ახლა მო-

დინართ და აქაო და სომხეთი საჭიროაო,
ბათუმი საჭიროა, სლავიანების სრულიად
განთავისუფლება საჭიროაო, და ყველა
თქვენი ნატერა უნდა შეასრულოთ?—
შერ მოგართვით ბადრიქანი, ნუ გექნე-
ბათ ხათრიჯამიო!

მაგრამ ჯერ ამაზე ლაპარაკი ადრეა.
თუმცა, რასაკვირველია, ჩვენ გამარჯვე-
ბული ვართ; თუმცა შარსი ავიღეთ; თუმ-
ცა ჰა დღეს, ჰახვალ არზრუმსაც, პლენო-
საც და იქნება აღრიანოპოლსაც ავი-
ღებთ, თუკი მიგვიშვეს იქამდინ; მაგრამ
ჯერ მაინც კიდევ ადრეა იმაზე ლაპარაკი—
თუ რა გვერგება ან რა უნდა ვირ-
გუნოთ ჩვენ.

ხონთქარმა სიზმარი ნახაო, ამბობენ
რუსული ვაზეთები: ვითომც იმას სამ-
ჯერ ზედი-ზედ გამოეცხადა. მაჰმადი პირ-
ველ ღამეს მშვიდობით, წყნარათ უთხრა:
— რუსებს მოურიგდით!

ხონთქარმა „აინუმშიაც არ ჩაიგდო“.
მაჰმადი მეორე ღამეს გამოეცხადა და კი-
დეც უთხრა, მაგრამ უფრო მრისხანეთ:
— ხო ჰხედაჲ, რომ მაჰმადიანთ სი-
სლი იღვრის ტყუილ-უბრალოთ! მე
შენ გირჩევ ესლა დაიწყე რუსებთან
მორიგებაზე მოლაპარაკება!

ხონთქარმა არც ამ მეორე სიზმრის
შემდეგ გაიბერტყა ყურები. მესამე ლა-

მეს გაგულისებულთ, კეკა-ქუხილით, წყე-
ვა-კრულვით, გააჩნლებული, საშიშარის
სახით გამოეცხადა იმას მაჰმადი და დაუ-
ღრიალა:

— არ გესმის—რას გეუბნები? შერ გაი-
გე ორჯერ რო გიბრძანე? მთელს სამაჰ-
მადიანოში ერთი მართლ-მორწმუნე აღარ
დარჩება, ქვა-ქვანედ აღარ იქნება, ყველა-
ფერი აირევე-დაირევა, შენც დაილუპები,
თუ ესლავ, ამ წამსვე პირ-და-პირ რუ-
სეთს არ მოურიგდო!

მს თქვა და წავიდა. ახლა კი ველარ
მოითმინა თურმე ხონთქარმა და, რო-
გორც იგივე რუსული ვაზეთები მოგვი-
თხრობენ, იმ წამსვე მოიხმო თავის ნა-
ზირ-ვეზირები, და გამოუცხადა, იმათ, რომ
უნდა შეურიგდეთ რუსებსაო.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ მორიგებაზე
სჯა და განსაკუთრებით იმაზე—თუ რო-
მელი ნაწილი მსმალეთისა დავიპყრათ,
მაინც კიდევ ვიტყვიტ: ადრეა და ადრეა.

ადრეა ამიტომ, რომ ოსმალთებს სა-
ზოგადოთ ჯერ კიდევ სრულიად დამარ-
ცხებულად არ მიაჩნიათ თავი და, გამარ-
ჯეების თუ არა, თავის თავის დაცვის
იმედი ჯერ კიდევ არ დაკარგავთ.
წარმოიდგინეთ, მუნთარ-ფაშასაც კი აქვს
თურმე იმედი.— არა უშავს-რა! სამოც-
და-ათი ათასმა კაცმა რომ ოც-და-ათი
ათასი კაცი დაგვამარცხოს, სასიკცხო

ყან ერთი ნაწილი თავის ჯარებისა და მეორე ნაწილი კი პირ-და-პირ სტამბოლისაკენ გაგზავნონ.

არზრუმელი კორრესპონდენტი ლონდონის გაზეთის „Daily Telegraph“-ისა დარწმუნებით ამბობს, რომ შარსის აღების პლანი ლენერალ-ადიუტანტს ლორის-მელიქოვს ეკუთვნისო; ამავე პლანით უნდადა წელს ზაფხულშიაც იმას შარსის აღებაო, მაგრამ მაშინ საკმაო ჯარები არ ჰყავდა და იმიტომ ვერ მოახერხაო.

შემოხსენებულსავე გაზეთში შარსი-დამ იწერებიან:

„ლენერალმა ტერ-ლუკასოვმა რუსის მმართველობის უკომოდების დროს ბაიან-ზეთის ლუბერნიაში ისევ ძველი მსმალოს ჩინოვნიკები დასტოვა მაზრის უფროსებად და გამგებლებად; მხოლოდ დააფიცა ისინი, რომ ერთგულად ემსახურებიან რუს-ხელმწიფეს. ზოგიერთი ამ ჩინოვნიკთაგანი სჩივის ახლა, რომ ქურთები გვესხმიან თავს და სოფლებს აწუხებენო.“

მეროპის ბრძოლის ველიდან

მრხანიეს აღება ჩვენებისაგან, რომელსაც დღევანდელ ჩვენი გაზეთის ტე-

ლეგრამებიდამ შეიტყობთ, დიდი ყურადღების ღირსი ამბავია. მრხანიეს იყო მთავარი ბანაკი შეეჭეთ-ფაშის და შემდეგ მეჰმედ-ალი-ფაშის არმიისა, რომელიც პლენენოსაკენ წასვლას ემზადებოდა. მრხანიეს აღება გვიმტკიცებს, რომ ჩვენი ჯარები სოჭისაკენ და აღრიანოპოლისაკენ იწევენ, თუმცა იმათ ჯერ პლენენო არ აუღიათ.

ახლა მეჰმედ-ალი-ფაშის არმია, უეჭველია, სოჭიაში გამაგრდება და აქედნდება მტერი შეაჩეროს.

ლონდონის გაზეთს „Daily News“-ში 6 ნოემბერს იწერებიან სოჭიდან:

„მს არის ახლა მოვიდა აქ მეჰმედ-ალი-ფაშა თავის არმიის ერთი ნაწილით. ხალხმა აღტაცებით მიიღო ის. მეორე ნაწილი იმის ჯარისა ბალკანის გადაღმა არის გაგზავნილი.“

„პოლიტიკურ კორრესპონდენციაში“ იწერებიან ბუნარესტიდან, რომ აქ ნამდვილი ამბავი მოვიდა, რომ მეჰმედ-ალი-ფაშამ მრხანიესთან და სოფიასთან ამ ფამად 40,000 კაცი მოაგროვა; ის კიდევ მოელის ახალს ჯარებსაო და შემდეგ კი პლენენოსაკენ უნდა გაიწიოსო.

ატრიალში მყოფი ქართველი მოლაშქრეები არ დაუთხოვნიან ჯერ და ამათ კიდევ გვასახელეს: საცა კი უბრძანეს, მხნედ შეაკლეს მტერს თავი!

მინდოდა კიდევ ამ ომზედ ბევრი მელაპარაკნა; (მადლობა ღმერთს, ომი სალაპარაკო საგანს ბევრს გვაძლევს); მაგრამ ეს დალოცვილი ჩვენი „ღროება“ ისეთი პატარა რამ გაზეთია, რომ ერთი-ორი კალამი მოუსვია—და ხედავ, ასოსამწყობლები გეუბნებიან: — ძმარა, ბატონო, გაზეთი სასევა!

მაგრამ ვერ მომიტომენია და ამ ორ ანექლოტს მაინც გეტყვი, რომელთაგან ერთი, პირ-და-პირ ომს თუ არა, ომის კაცს მაინც შეეხება, და მეორე ამ პირველ ანექლოტმა მომაგონა:

პეტერბურლის ერთს მალაზიაში შედის ქალი და მაუდს ევაჭრება, რომელიც ბრძოლის ველზე მყოფ თავის ქმრისათვის თბილი ტანისამოსის შესაკერავად უნდა. მაჭარი ფასს ეუბნება. მალს ეძვირება.

- მისთვის გნებავთ, ქალბატონო, ეს ღრაპი?
- ძაცის პალტოსათვის.
- მის უნდა შეუკეროთ? ჰკითხავს ვაჭარი.
- ჩემ ქმარს.
- სად ბრძანდება თქვენი ქმარი?
- ბრძოლის ველზე.
- შეაკრავად ნუ ვიქნები და არ შეიძლება მითხრათ: ვისთან მსახურებს?

და გასაკვირველი არა არის-რაო, ასე ამბობს თურმე. — მოითმინეთ, ახალი ჯარები მომივა და მერე ვნახოთ—თუ შარსს არ მივადგეო! თუ ამან არ დაეხმარა მსმალეფის საქმეს, მერე თვითონ ხონტქარი წავა ბრძოლის ველზედაო. თუ არც ამან უშველა-რა, შემდეგ კი მაჰმადის მწევანე ღროშას გამოაფენს და მაშინ მთელი დედა-მიწის მაჰმადიანობა, დიდი და პატარა, უძღური და ძლიერი, ინდოელი და აფრიკელი,—ყველა უნდა აღსდგეს, ყველამ თოფ-იარაღს უნდა მოჰკიდოს ხელი და „ბიაურების“ წინააღმდეგ ბრძოლის ველზე უნდა გავიდესო!

ამას გვეუბნებიან და ასე გვაშინებენ! მაგრამ აბა ჩვენ რა შეგვაშინებს!

მართალია, ჩვენ ვერა შეგვაშინებს-რა, მაგრამ ამ ჩვენი მართული ღრუჟინის შარსიდან დაბრუნება რას ეიშნავს?..

რასაკვირველია, გაზეთის „Голос“-ის დეპეშა, რომელიც ამბობს, რომ ეს ქართველების ღრუჟინა იმიტომ დაითხოვეს და თავიანთ შინ გაისტუმრესო, რომ იმათი შენახვა ერთობ ძვირად ჯდებაო,—ეს მიზეზი სრულიად ყურადღებაში მისაღები არ არის, რადგან ცხენოსანი ჯარის შენახვა ყველგან და ყოველთვის ძვირად ჯდება, მაგრამ შინ კი არ ისტუმრებენ! არა, აქ ერთი რამ სხვა მიზეზი უნდა იყოს...

მაგიერად, ჩვენ იმით შეგვიძლია ვინუგეშოთ თავი, რომ ჩიონისა და მნგურის

საქართველო

დღისი

* * * მოგეხსენებათ, რომ წელს გაზაფხულზე ქალაქის რჩევამ გადაწყვიტა, რომ ქავასიის მედიცინის საზოგადოებას მოსთხოვეს ჰაზრი—თუ სად და როგორ სჯობიან ქალაქის სასაფლაოების გადატანა?

ამ საგნის განსახილველად ხსენებულმა საზოგადოებამ შეადგინა მაშინვე თავის წევრებისაგან კომისია, რომელმაც როგორც საზოგადოების პროტოკოლის უკანასკნელს (7) ნომერში არის გამოცხადებული, გადაწყვიტა რომ საუკეთესო ალაფი სასაფლაოსთვის იქნებოდა მტკვრის ნაპირა ადგილი ნაეთლულსა და მრხანის შუაო. მს ადგილი, კომისიის აზრით, იმითია კარგი, რომ ერთის მხრით საკმაოთ მოშორებულია ქალაქსა და მეორეს და უმთავრესის მხრით იმიტომ, რომ მიცვალებულების გვამის სუნი, რომელიც ჰაერს აფუჭებს და ცოცხლებს ვნებს, აქედამ ჩრდილოეთის და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ქარის შემწობით პირ-და-პირ შარაიაზისაკენ წავა და ქალაქს კი ამოორდებაო.

თუმცა სასაფლაოების სიშორე ქალა-

— ლენერალ სკობილევთან. — სკობილევთან?! მანეთზე აბაზი დამიკლია! ინებეთ!

ამ ანექლოტმა შემდგომი ანექლოტი თუ ანექლოტური შემთხვევა მომაგონა: ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ, თფილისის მაშინდელ დიდ თეატრში ერთს რაღაც ოპერას თამაშობდნენ. პრიმადონა (უკაცრავად, სახელი არ ვიცი) გაცხარებულ ხელების ქნევაშია; გრძობით დამღერის თავის საყვარელს; მთელი თეატრი სმენად არის გადაქცეული; ბუზი რომ გაფრინდეს, გაიგონებთ...

ამ დროს რაიოკიდან უეცრად მოისმის საშინელი აღტაცებული ტაშის-კვრა და ყვირილი:

— მვით! მვით! მვით!.. შევლამ გაკვირებულებმა მოიხედა რაიოკისაკენ და ვერ გაეგოთ—თუ რას ნიშნავდა ეს გაცხარებული ტაში ამ დროს და ყვირილი მქვით! მვით!

ბოლოს აღმოჩნდა, რომ რაიოკში ყოფილა იმ დროს ერთი ვაჭარი სომეხი, რომლისაგანაც მომღერალ ქალს (პრიმადონას) ხშირად მიჰქონდა თურმე ნისიათ საკაბეები და სხვა და სხვა საქონელი; იცნო სცენაზე ვაჭარმა თავის მოვალე და ისეთს აღტაცებაში მოვიდა იმის სიმღერისაგან, რომ თავის გულში გადაწყვიტა ვალის პატიება; მაგრამ მომეტებულის მღელვარებისაგან ვერ მოითმინა და ხმა-მალლა დაუყვირა:

„მვით! მვით! მვით!“

ქისათვის კარგია, მაგრამ იქ მიცვალე-
ბულების გატანა ხალხისათვის გასაჭირი
იქნება; ამის გამო კომისია ურჩევს შა-
ლაქის შემგებნას, რომ შუა ქალაქში
სადმე მიცვალებულების დროებით და-
სახევენებლად სახლი იშოვნოს და ამ
სახლიდამ სასაფლაომდინ საცხენო რკი-
ნის გზა გაიყვანოს.

მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლე-
ბაო, ამბობს კომისია, რომ ცოტა-
არის თფილისის ჰავა გაიწმინდოს და მო-
იშოროს თავიდან ის სასაფლაოები, რომ-
ელთაც ახლა თითქმის შიგ ქალაქში
საუკეთესო ალაგები უჭირათ.

* * არტანდამ გეწერენ, რომ მას
აქეთ, რაც ჩვენმა ჯარებმა ვ-ს ღვინო-
ჩისთვის დაამარცხეს მუხთარ-ფაშა, ახალ-
ქალაქის მახრისაკენ სრულებით ავაზა-
კობა მოისპოვო; თუ ავაზაკობენ, ისევ
ბეწები, თორემ მოსამზღვრე თათრები
მშვიდობიანად ცხოვრებენო.

რაც შეეხება მეჭრ-ალის, რომელმაც
ერთ დროს ასე დაფხზო არათუ მარტო
ახალქალაქის, თითქმის თფილისის უეზ-
ლიც, ამ მეჭრ-ალიზედ, ჩვენი კორესპოდენ-
ტის სიტყვით, იქითკენ ამ ქამად სრულე-
ბით არა ისმის-რა, თითქო დედა-მიწამ
ჩაყლაპაო...

* * სოფ. ძაეთხევიდამ გეწერენ, რომ
ჩვენს აქაურს მღვდელს ძალიან ვემაღ-
ლიერებთო, რადგან იმან თავის მოღვა-
წეობით პატარა შკოლა გაგვიმართა და
კარგათაც ასწავლის ჩვენი სოფლის გლე-
ხის შეიღებსაო. პირველად ჩვენ, გლე-
ხებს, გვეშინოდა ამ შკოლაში შეიღების
მიცემა, რადგან ხმა იყო გავარდნილი,
რომ ეინც ცოტა ანა-ბანას ისწავლის,
რომ ეინც ცოტა ანა-ბანას ისწავლის,

იმწამსვე სალდათად წაიყვანებნო; მაგ-
რამ როცა ჩვენმა მამასახლისმა გვიჩვე-
ნა მაგალითი და პირველმა მიიბარა იმ
მღვდელს შკოლაში შეიღი, მერე ჩვენც
გავებდეთ, და ახლა 12-მდინ ყმაწვილი
აბარიაო. უბედურება მხოლოდ ეს არი-
სო, რომ ჩვენ ღარიბები ვართ და იმდენი
შედლება არა გვაქვს, რომ ყოველის
მხრით იმ ჩვენს მღვდელს ხელი იოჯუ-
ყოთო; ამის გამო არ ვიცით—ამ ზამ-
თარში შკოლის საქმე როგორ წავაო.

თფილისის სამკურნალო

(4+ს აპრილის სახსოვრად)

ქრეწის მადანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას
გარდა, დილის 8 საათიდან დილისვე 10 სა-
ათიდან.

მ რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი მინკიევიჩი—ხირურგიულ
ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი
—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი და მარკაროვი—
შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამაშევი—თვა-
ლის ექიმი.

მ თ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი—შინაგანი ავა-
თმყოფ., ძიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობი-
სათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—შინაგან ავათმყო-
ფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცივი და სხატუროვი
—შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკიევიჩი
—ხირურგიულითვის.

შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი და მარკაროვი—შინა-
განი ავათმყოფო., ძიუჩარიანცი—ყურის და ხირურ-
გიულ ავათმყოფობისათვის და თამაშევი—თვალის
ავათმყოფობისა.

ბანსხალეზანი

ჩაის მალაზია

პ. პ. პოპოვისა,

რომელიც იმყოფებოდა ბალაენის პრა-
სპექტზე, შიოკვის სახლებში, ამ ქამად
გადატანილია ქრეწის მადანზე, ტარ-
ბსატუროვის სახლებში. პ. ტივი მაქვს
ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას,
რომ ვისაც კარგი, სუნთოვანი ჩაი წე-
ბავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდის ვაჭარი
რაქდენ ბაღინიძე

სასუსხებელი

მიეძევა

ფული

იმ პირობით რომ მოვალემ ვუდამ
კვირას ანუ თვეში გადაიხდოს ნაწილ-
ნაწილად. უკრო დაწვრალებული პი-
რობების შეტყობა ბულაკოვსკისთან,
პორონცოვის ხიღზე, ზუბალოვის სახ-
ლებში, მარშავის ფენსაცმლის მაღაზია-
ში, მუდამ დღე დილის 9 საათიდან
ნაშუადღევს პირველ საათამდინ.

გაკვეთილები

რეტიულის და პრაქტიულის გუშ-
ლალტერიისა ორ-გვარის
ანუ იტალიურისა, ბანკის, ფაბრიკის, სა-
ვაჭრო, კომისიურის და აგრეთვე სამა-
ჭრო არითმეტიკისა.

აღრმის: ლაბორატორიის ქუჩა, ნამეს-
ტნიკის ბაღის პირ-და-პირ, პაროვის
სახლებში, № 14.

რკ. გზა.	დილა.	საღამ.	III კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	გაზანდა	მან. კაპ	
თფილისი	9 21	5 18			მცი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 19 გიორ.		თფილისი, 22 გიორგობ		
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ჭუთაისს, შოთს	1	მოსკოვი		შქე. თეთ. ბანკისა, ფთ.	2	
ბორჯ.	11 58	9 43	40	1 23	ბორს, დუშეთს, სიღნაღს	50	ლონდონში 24 პენსი.	78	შქვილი წითელი	180	
ხაშური	1 29	11 57	92	2 18	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	პარიჟში 252 სანტიმი.	62	ქვილი ფუთი	140	
სურამი	1 44		42	2 46	პეტერბურგს, პარშავს	2	სკოპტი (სარგებლისფასი)	71	ბანბა ქრეწისა, ფუთი	8 20	
პეტირია	5 49		81	3 23	მსმალეთში, შევიტარიაში	3	ბანკის ბილეთი 5%	95	— სპერიკისა, ფუთი	8 50	
რიონი	6 47		75	3 75	იტალიაში და სფრანგეთში.	3 50	მოგობიანი (პირველის ხ	21	ბაკონტლი ბამბა ფუთი.	9 50	
სამტრედია	7 41		73	4 29	ინგლისში	3 75	ძოგობიანი (მეორე ხესხი)	15	მ. ტელი თუშური ფთ.	7	
ბა. სენაკი	—		8	5 74 76	ფოტობა		ბირაოს ფურცლები:		— თარაქამისა ფთ.	3 50	
შოთი	9 40		9	7 5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გა- რეთ, ძუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ს. შ.		ფოლ. საზნ, ბანკისა		აბრეშუმი ნუშური სტ.	3	
შოთი	9 13		1	18 - 66	მ. შურ. — პარსკ. და ორშ. ძაქ. ახ- სამშ. და შაბ. ბ) ძუთაიდან:		ხურსულის ბანკის ()	85 25	ძოინი, ფუთი	6 80	
სამტრედია	11 16		2	6 1 14	თფილისისა და შოთისაკენ—ყოვე დღე, კვირას გარდა. მ. შუოგეთს		ოსკოვის ()	85 50	ქონის სანთელი ფუთი.	10	
რიონი	12 13		3	4 1 69	ორშ. დე პარსკენ		სეკიები:		სტეფანის სანთელი, ფ.	1 60	
პეტირია	1 18		3	98 2 21	წიგის გაგზავნარუსეთში	კაპ	მდესის სავაჭრო ბანკის	177	ხურცი ძოხისა, ლიტ.	60	
სურამი	5 12		1	110 5 33 2 96	და სამზღვარ გარეთ:		შოთი-თფილ. რკინ. გზის	—	— ცხვრისა, ლიტრა	60	
ხაშური	5 39		1	37 5 84 3 24	ლაზ წიგის	4	შაქვლის ცუცხ. გემერი	527	სპირტი, გრადუსი	12	
ბორჯ.	7 5		4	8 3 36 4 9	და მ. შიგის	4	პაგუბის და შერკუთის	225	შაქარი, ბროც. ფუთი	10	
მცხეთა	8 50		6	59 8 8 5 4	და მ. შიგის	4	პარიზის საზღვევ. საზნ.	745 50	— ფენილი ფუთი	8	
თფილისი	9 31		7	6 7 3 5 42	და მ. შიგის (სამი მისხალი)	5	პეტროპოლის საზღვევ. საზ.	235 50	შავა გოგვალი, ფუთი	28	
									235	ზ. თი ქუნჯუთისა ფუთ.	13
									235	მქოლ 1/2 იმპერიალი.	8 18